

უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის)
უცხოელებისთვის მიყიდვის წესი

მარიამ სარალიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სამართლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან როგავა (მოწვეული ლექტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლების ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში, რა შეზღუდვებს აწესებს საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რა ცვლილებები განიცადა დასახელებულმა კანონმა, რა ფარგლებში იზღუდება უცხოელის უფლება, შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ირღვევა თუ არა საკუთრების უფლება. გაანალიზებულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია, თუ რამდენად იზღუდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლება უცხოელების მიმართ, რა მიზნით და რა ფარგლებში.

Abstract

In this work is discussed the regulation of selling agricultural land for foreigners in Georgia, limits of the law “agricultural land ownership,” changes of the Act, what are limits of the foreigners right to acquire the agricultural land and might there be the sings of violating a property right or not. The Agricultural Land Law in line with the Constitution. The paper also analuzes how limited are agricultural land Property rights for foreigner’s in the EU Member States, for what purpose and to what extent.